№ 231 7 ნოემერი, ოთხშაბათი 1866—1879 7 ნოემბერი, ოთხშაბათი № 231

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ერთ-ერთ ებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივ ასოებ ით ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელ სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

ოთხშაბათს, 7 ბიოლრბოგისთვეს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

„შური“

დრამა სამ მოქმედებათ

II

„ბნელ ოთახში“

ვოდევილი ერთ მოქმედებათ

ანტრაქტში უფ. კ მესხი წაიკითხავს იმერულ სცენებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაშდა აზნაურთოვის მაღაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ორი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ორი მანეთი.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 2 ნოემბერს. გაზეთს „ახალ დროებაში“ სწერენ, რომ ზოგიერთ პირებს შეუდგენიათ პროექტი, მართებლობასთან წარსადგენი, ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის გაყვანაზე სამარკანდის სახელმწიფოს სამზღვარამდე, ინდოეთისკენ; გზის სიგრძე უნდა იქნეს 2,656 ვერსტი. იხსნება ბანკი, რომელსაც ერქმევა „რუსეთის რკინის-გზის ბანკი;“ ბანკის დამფუძნებლები გააკეთებენ ამ გზას და ექსპლუატაციაც მათ ხელში იქნება. ქონცესია აშენებაზე ეძლევა 33 წელი და 6 თვე, აქედამ 6 თვე გადადებულია საქმის გამოსაწყობლათ, 4 წელიწადი რკინის გზის ასაშენებლათ, 29 წ. ექსპლუტაციისთვის. შემდეგ ეს გზა სულ ერთიანათ ხდება მმართებლობის საკუთრებათ. ბანკის ძირის ფულიც მმართველების ხელში გადავა.

შინაგანი მინისტრის განკარგულებით, ებრაული ჟურნალი „ჰამელიც“ ხუთი თვის განმავალობაში შეჩერებულია.

ლონდონი, 1 ნოემბერი. მალტიდამ ტელეგრამმა არის, რომ ადმირალმა ბორნბიმ უბრძანა ესკადროს მზათ იყოს ოთხი დღის განმავალობაში აღმოსავლეთისენ წასასვლელათ.

სტამბოლი, 1 ნოემბერი. პორტამ ჰკითხა ინგლისის ელჩს ბორნბის განკარგულების მიზეზი სულთანმა ლეიარდსგანუცხდა, რომ ის მალე შემოიღებს რეფორმას, მაგრამ მისი უფლება დამცირდება, თუ ის ინგლისის შიშით შემოიღებს ამ რეფორმებს.

ლონდონი, 2 ნოემბერი. გაზ. „ტაიმში“ სწერენ, რომ მმართებლობის აზრი ინგლისის ფლოტზე აღმოსავლეთში ხალხს მოეწონება. გაზეთის აზრით, ოსმალოს მმართებლობამ შეიძლება რუსეთთან კავშირი დაჭერა არჩაის რეფორმების შემოღებას, მაგრამ რუსეთმა კი შორს უნდა დაიჭიროს თავი ამ ინტრიგიდამ. მაგრამ, თუ ეს ასე მოხდა, ინგლისმა ყოველნაირი თავისი პირობა ოსმალეთთან უნდა შეშალოსო.

ლონდონი, 3 ნოემბერი. თეჰერანიდამ იწერებიან, რომ ინგლისის ელჩის მოკვლა ძაბულში დიდის სიხარულით მიიღო ხალხმა ბერატშიო. ბერატი უკანასნელ კაცამდის უნდათ დაიცვან. იქაური გუბერნატორი ეიბ-ხანი ძლიერ გაჯავრებულია ინგლისელებზე; იმას ჰყავს 9300 კაცი, ცხენოსანი და ქვეითი ჯარი. ბერატში არც ერთი რუსის აგენტი არ უნახავს კაცს.

ბაზ. „ტაიმსი“ სწერს, რომ ბორნბის არ მისელია ბრძანება 4 დღეშიმზათ იყავი აღმოსავლეთში წასასვლელათო; ლეიარდს არ მოუთხოვნია მაინც-დამაინც ინგლისელები დანიშნეთ მცირე აზიაშიო ჩინოვნიკებათაო.

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაუწყვეტია სახალხო შკოლის გახსნა თფილისში ლარიბი ხალხის შვილებისათვის. შკოლა უნდა გაიხსნას ან ჩულურეთში და ან ორბელიანთ უბანში, რადგან ეს ქალაქის შუაგული ადგილი არისო და თითქმის ყველა უბნებიდამ შეეძლებათ ყმაწვილებს სიარულიო. შკოლა იქნება სამოცი შაგირდებისათვის გახსნილი, თუ რამე დაბრკოლება არ აღმოუჩნდა, 1 იანვრის ანუ თებერვლის თვიდამ.

*** ქახეთიდამ გვატყობინებენ, რომ წელს მეტის-მეტი დიდ ძალი ხალხი მოაწვა ჩვენ მხარეს ხორბლის საყიდლათაო; განსაკუთრებით ბევრი ჩამოვიდნენ თათრები, რომელთაც ურემიურემზე მოაქვთ და პურს ეძებენო.

*** ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ერთი ძველი ხელთ-ნაწერი ეგზემპლიარი „ვეფხვის ტყაოსანი“, რომელიც, როგორც შიგ მოხსენებულია ვიღაც არდანუჯელის პეტრე ლარაძისაგან არის მშვენიერი ხელით გარდაწერილი,

კიდევ ახალი ამბები ჩვენი მწერლობის შესახებ:

ამ ჟამად იბეჭდება მეორე გამოცემა თ. ილია ჭავჭავაძის ჩინებულის მოთხრობისა „კაცია, ადამიანი“.

რამდენიმე ქართველ ქალთ უთარგმნიათ უცხო ენებიდამ ქართულად სხვა-და-სხვა მოთხრობები, ეს თარგმანი ახლა იბეჭდება და მალე გამოვა.

ამას გარდა უფ. ნ. ნიკოლაძე საახალ წლოთ ქართული ალმანახის გამოცემას აპირებს.

*** ახალციხის უეზდის სოფ. უდედამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენკენ ერთობ გახშირდა ქურდობა და საზოგადოთ ავაზაკობაო; კორრესპონდენტის სიტყვით, ისე კვირა არ გაიელის, რომ ამ სოფლის ახლო-მახლო ადგილებში ერთი კაცი მაინც არ მოჰკლან ავაზაკებმა.

*** ზუგდიდამ დიდ მადლობას უცხადებენ ერთ ვინაც, პროვიზორს უფ. ვასკოვსკის, რომელსაც აფთიაქი გაუხსნია ამ დაბაში. დღემდინ როცა ვინმე გაგვიხდებოდა ავათ და ექიმი რეცეპტს დაუწერდა, წამლის მოსატანად ჭუთაისში ან ფოთში უნდა გვეფრინა კაციო და თქვენ წარმოიდგინეთ როგორ დაგვიჯდებოდაო; ახლა კი, ამ პროვიზორის წყალობით, აქვე გვაქვს აფთიაქი და შედარებით სხვა აფთიაქების ფასებთან, წამალი აქ ძვირათაც არ ისყიდებაო.

*** ჩვენ მივიღეთ კიდევ შემდეგი შენიშნვა ჭუთაისის სატუსაღოს შესახებ. დრო კია, რომ ამ საქმეს, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ვისგანაც ჯერ არს. აი ეს შენიშნვა;

„ამ ორი კვირის წინეთ სვანეთიდამ ოთხი სვანი მოიყვანეს ჩვენს სატუსაღოში. მომრიგებელ მოსამართლეს მათთვის ექვს-ექვსი კვირით ნაობახში ჯდომა გარდაეწყვიტა 29 ოქტომბერს ერთი სვანი (ესაე ქვანჭიანი) ციხის ზედა სართულის ბალკონიდგან გადავარდა, დიმტერია საწყალმა თავ-პირი, კისერი, ზურგის ძვლები, გვერდები... წასქდა სისხლი ცხვირ-პირიდამ, ყურებში და მეორე დღეს (30 ოკტ.) მოკვდა ბევრი წვალების შემდეგ.

„მერე რა მიზეზით მოხდა მისი გადავარდნა? ბალკონი დამპალია და გოხრებული. მოაჯარა დამპალი. უბრალოთ რო კაცი მიეყუდოს, მოაჯირიანად გადავარდება. ერთს ალაგს, სამი ალაბის სიგრძეზე, ერთი მოაჯირი მოშორებული იყო, იმ ალაგას დიდი ბოჭკა დგას წყლიანი; დილას მოვიდა ორი სვანი წყლის ამოსაღებათ; ერთი სვანი წყალს ასხამდა პატარა ბოჭკაში, მეორე ზეზე იყო გაჩერებული. ამ ერთ სვანს ვერ შეენიშნა, რომ მის უკან მოაჯირს გადებული არ იყო; უკან დაწეულიყო ძის-და-საუბედროთ და ძირს ბრაგვანი გაედინა...

„ნეტა ხაზინაში ფულები არ იყოს დანიშნული იმ ბალკონის შესაკეთებელათ და სხვა ამგვარი რამე წვრიმალებისათვის! ოთხი თვე მეტი დაიარება ერთი ინჟინერი, გაცვითა უკანასკნელი ოთხი კარანდაში სმეტის შედგენაზე. არაფერი ეშველა იმ ბალკონის გაკეთებას.

„ამას თუნდ თავი დავანებოთ. რა იქნებოდა რომ იმ სვანებისათვის ლაილაშის ნაობახში მოეხდევინებიათ ექვს-ექვსი კვირის ტყვეობა? ერთი კვირა ხომ ჰყავდათ იმ ლაილაშის ნაობახში გაჩერებული? ბაიქცეოდენ თუ?

„სამი თვის წინით ლეჩხუმის უეზდის ნაჩალნიკმა როდზევიჩმა თვეში მდგური ორსული ქალი გამოგზავნა ჭუთაისის სატუსაღოში სამი თვის ტყვეობის მოსახადათ. ბამოიცა ამისთანა უკანონო და ულმერთო განკარგულებამ, რვა თვის ორსული ქალი ლეჩხუმიდამ ჭუთაისამდის... სამი თვის ტყვეობა კი არა, კატორგა რომ ჰჭონებოდა გარდაწყვეტილი, კანონით იმ როდზევიჩს უფლება არა ჰქონდა ის თვეში მდგური ქალი ადგილიდამ დაეძრა.

ამ უბედურ ქალს თხოვნა დაუწერეს გუბერნატორთან და ერთი კვირის განმავალობაში სახლში გაუშვეს„.

იმერეთის სამღვდელოების ყრილობა ჭუთაისში.

(დასასრული)

4) სასწავლებელში სივიწროეზე. ჩვენს სასწავლებელში ბევრი შაგირდებია და მიუცილებელი საჭიროება არის მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი გაიხსნას; მაგრამ სანამ ეს მოხერხდებოდეს, მანამდისინ ასე შეეიწროებულათ არ უნდა იყვნენ შაგირდები. უზედამხედველს ბევრი ოთახები უჭირავს თავისთვის. საუმჯობესო იქნება ის გარეთ ბინაზე გავიდეს და სახლის ქირა დაუნიშნოს სამღვდელოებამ მას. ყოველს შემთხვევაში, რაც უნდა ქირა მისცენ, სამღვდელოება მაინც მოგებული დარჩება. ერთ სამზარეულოში გაკეთება შაგირდების და ზედამხედველის საჭმელებისა და ერთის მზარეულისაგან ძლიერ საზარალო არის სამღვდელოებისათვის; მაგრამ მეტის-მეტად სასარგებლოა ზედამხედველისათვის. ოთახის უქონლობისაგამო ისე გაჭირვებულია საქმე, რომ ერთ კლასში ნახევარი შაგირდები შუადღემდისინ სწავლობს და მეორე ნახევარი ნაშუადღევს... ასე გაჭირვებულია საქმე შაგირდების სიმრავლისაგან ამ სასწავლებელში და ამ დროს სამღვდელოებას ეუბნებოდნენ ექვსი სახლი ააშენეთო საზოგადო შაგირდების ბინათო!... აძაზე მეტი უთავბოლობა იქნება?

ა) ზედამხედველის ... სწავლებლებს ... ხმოვნებაზე. არაფერი არ არის იმაზე ცუდი, როდესაც უთაურ კაცს რაიმე უფროსობა შეხვდება. ხშირად მოხდება, რომ უფროსს თავისი ხელქვეშე მყოფი სჯობია გონებით და აზრით. ამისთანა უმცროსების უფროსი ნიადაგ ჯავრობს და ემტერება მათ ვისი აზრიც მის სულელურ აზრს არ ემორჩილება და არ ემონება. ამ გადამტერებით ბევრი პატიოსანი პირი მოშორდება თავის თანამდებობას. უკმაყოფილება ჩვენს სასწავლებელში დიდი ხანია არის, რაც უ. ეხლანდელი ზედამხედველი ბრძანდება. იმის წყალობით ბევრი პატიოსანი პირი მოშორებია თავის თანამდებობას სასწავლებელში. იქამდინ მისულა უკმაყოფილება, რომ რევოლვერიც კი ხმარებულა. ამ დღეებში წაეჩხუბა ერთ მასწავლებელს უ. ზედამხედველი, რომელზედაც გამოძიებაც არის დანიშნული. ამისთანა ჩხუბი და დავი-დარაბა ძლიერ ვნებს სწავლის საქმეს. წინეთ ამისთანა უკმაყოფილებას აბრალებდნენ სამღვდელოების მხრით დანიშნულ წევრებს, რომლისათვის, ვგონებ, ქუეშინსკის რჩევით, კიდეც დაითხოვეს იგინი და ეხლა რაღა მიზეზია? დიდი დავი-დარაბა მოახდინეს გასათხოვარმა ქალებმაც, რომელნიც უ. ზედამხედველთან სცხოვრებდნენ; ერთი ამისთანა კიდეც მეითხოვა ერთ მასწავლებელს, რომლის დათხოვა გარდაწყვეტილი იყო, ბედი მოუვიდა საწყალს, ლათინური ენის მასწავლებლობა იშოვა, მაგრამ, საცოდავი, მალე მოკვდა.

6) მეორე ოთხკლასიანი სასწავლებლების გახსნას. ეოველად შეუძლებელია მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი არ გაიხსნას ცოტას ხანში. მოსალოდებელია ეკკლესიის ხაზინაში ფულების მომატება. სამღვდელოებმა უნდა სთხოვონ მმართებლობას მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი გახსნან. იმედია, რომ თუ სამღვდელოები სახლს ააშენებენ თავის ხარჯით, ჯამაგირი ხაზინიდამ დაენიშნის მასწავლებლებს. მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი, რომ გაიხსნას, სამღვდელოებას შეუძლიათ გამონახონ სხვა და სხვა წყაროები ფულების შესავსებელად. ჩვენში ბევრი ფულები მოიგროვება ამ სასწავლებლისათვის. წარმოიდგინეთ ჭუთაისის კათედრის სობორო. იმ გადასახადს იხდის სასწავლებლის შესანახავად, რასაც ზოგიერთი სოფლის ეკკლესია და ზოგიერთზე ნაკლებსაც. ჭუთაისის სობოროში სანთლის სარგებელი წელიწადში 700 მან. მეტი უნდა შემოვიდეს.

ამდენი ფულებიდამ 50 მანეთს იძლევიან სასწავლებლის შესანახავად და დანაშთენს რას უშვებიან? სანთლის სარგებლის ფული ხომ უწმინდესის სინოდის უქაზის ძალით ყველა შეიძლება მოხმარდეს სასწავლებელს?.. მონასტრებიც ვალდებულნი არიან მოეხმარონ ხალხის განათლების საქმეს; მაგრამ, საუბედუროდ, ვინა ფიქრობს ამისთანა საქმეზე დღეს?.. ისეთ სახლებს იშენებენ ბერები ქალაქებში და სოფლებში, რომ გაგაკვირვებენ...

ამათ გარდა ბევრი რამ არის კიდევ, რომელსაც სამღვდელოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მომავალ სხდომების დროს, მაგრამ ყველაზე თქმა ეხლავე არ შეიძლება. არაფერს არ ვამბობ წევრების არჩევაზე სამღვდელოების მხრით. ბრძანება არის, რომ, უთუოდ ქალაქის მღვდლებთაგანი უნდა იყვნენ არჩეულნი. ქალაქის მღვდლებში იმისთანა გულ შემატკივარი არავინ ჰყავს სამღვდელოებას, როგორც სოფლებისაში. გინდა თუ არა, მაინც და მაინც ქალაქში მყოფი მღვდელი უნდა აირჩიონ. აქ სრულდება მარტო ფორმა და მუხლი სასწავლებლის წესდებისა, რომლისაგან სამღვდელოება არაფერ სარგებლობას არ უნდა მოელოდეს. ამასთან უნდა ახსოვდეს ყველა დეპუტატებს, რომ მათთვის ძალდატანება რომელიმე საქმის გადაწყვეტაზე არავის არ შეუძლია...

ქუთაისი 2 ნოემბერს.

განცხადებანი

კავკასიის მედიცინის საზოგადოება აცხადებს, რომ ტაინი სოვეტნიკის **ე. რ. გომელაურის** სახელობაზედ ქალების გიმნაზიაში დანიშნული **სტიპენდია ამ ჟამად თავისუფალია**, დაუქორწინებელია და ვისაც ამ სტიპენდიის მიღება ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ნ. უშაკოვს. (ძალონიაში, სახლის № 145). (5—5)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა უცხადებს ამით ტრაქტირების, ხარშჩოვნების, დუქნებისა, სამიკიტნოებისა და პასტაიალი დვორების პატრონებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან ამ **ნოემბრის თვის 15-მდინ** აიღონ ვაჭრობის მოწმობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, **ვინც თავის დროზე ხვედრ ფულს არ შემოიტანს და მოწმობას არ აიღებს, იმათი ზავედენიე დაიკეტება.**

(3—3)

თფილისის სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ ამ 1879 წლის მომავალ 15 ქრისტეშობისთვეს, 12 საათზე, ქ. თფილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ყორღანოვის სახლში № 3, იქნება საზოგადო გასყიდვა, (ხელ-მეორედ ვაჭრობის დაუნიშნავად) იმ ქვემო-მოყვანილ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მოთხოვნილების თანახმად, არ შემოუტანიათ თავის ვადაზე ფული ამ ბანკში დაგირავებულ მამულებისა:

მაღალაშვილი, ლუარსაბ ალექსანდრეს ძე—ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ადგილით $324\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი ქ. თფილისში, მეორე განყოფილების მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი—6,097 მან. 14 კაპ. შემოსატანი გადასახადი—377 მან. 82 კაპ., სულ 6474 მან. 96 კაპ.

საფრონოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე—ერთ ეტაჟიანი სახლი ადგილით 146 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 2 განყოფილებისა მე-16 უჩასტკაში. თავნი ვალი 554 მან. 30 კაპ., გადასახდელი 35 მან. 62 კაპ., სულ 589 მან. 92 კაპ.

ტერ-მიკირტიჩიანც, ქრისტეფორე ნიკიტის ძე—სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თან მიწა $634\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი თფილისის მე-2 განყოფილების 2 უჩასტკაში. თავნი ვალი 75,752 მან. 16 კაპ., გადასახდელი 4776 მან. 10 კაპ., სულ 80,528 მან. 26 კაპ.

გურდულოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე—ორი დუქანი ადგილით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი 2,799 მან. 93 კაპ., გადასახდელი 188 მან. 95 კაპ., სულ 2,988 მან. 88 კაპ.

ერისთავისა, ივლიტა დიმიტრის ასული—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მიწით 500 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიის ქ. გორში, მთავარ ქუჩაზე. თავნი ვალი 9,333 მან., გადასახდელი 494 მან., სულ 9827 მან.

ხულხანოვისა, მარიამ ივანოვის ასული—ა) ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ ეტაჟიანი დუქანი, ორი ორ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი ადგილით 276 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში ა) 1 განყოფილების მე-7 უჩასტკაში, ბ) ჩუღურეთში 2 განყ. 14 უჩასტკაში. თავნი ვალი 16,799 მან. 54 კაპ., გადასახდელი 875 მან, 60 კაპ., სულ 17,675 მან. 14 კაპ.

ჭრელაშვილი, პროტოიერეი გრიგორი დავითის ძე—ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ბაღით და ადგილით 4 დესიატინა. თფილისში, 2 განყოფილების მე-16 უჩასტკაში, ნავთლუღში. თავნი ვალი 1866 მან. 63 კაპ., გადასახდელი 127 მან, 80 კაპ., სულ 1994 მან. 43 კაპ.

მირუმოვი, ოჰანეზ სარქისის ძე—ორი ერთ ეტაჟიანი და ერთი ორ ეტაჟიანი სახლი, ადგილი $241\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 2 განყოფილების მე-14 უჩასტკაში, ავლაბარში. თავნი ვალი 3360 მან. 93 კაპ. გადასახდელი 263 მან. 40 კაპ., სულ 3,624 მან. 33 კაპ.

კოროლენკოსი, სოფიო კონსტანტინეს ასული—ერთ ეტაჟიანი დუქნიანი სახლი, ადგილი $27\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 377 მან 1 კაპ., გადასახდელი 64 მან. 20 კაპ. სულ 441 მან. 21 კაპ.

პავლიევი, იაკობ სიმონის ძე—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მიწა 72 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 1 განყოფ. მე-5 უჩასტკაში, ნემეცების ქუჩაზე. თავნი ვალი 5,649 მან. 1 კაპ., გადასახდელია 451 მან. 99 კაპ., სულ 6,101 მან.

ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს ძე—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ზედ მიშენებული შენობებით და მიწით $548\frac{1}{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფილების მე-4 უჩასტკაში ველიამინოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 51,849 მან. 81 კაპ., გადასახდელია 3,552 მან. 80 კაპ., სულ 55,502 მან. 61 კაპ.

კუზმინი, ლავრენტი კუზმას ძე—ერთ ეტაჟიანი სარდაფიანი სახლი, მიწა $127\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში, ავჭალის ქუჩაზე. თავნი ვალი 390 მან. 73 კაპ., გადასახდელია 36 მან. 8 კაპ., სულ 426 მან. 81 კაპ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 243 დესიატინა და 1263 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიის თელავის უეზდში, მატიაურში. თავნი ვალი 7,893 მან. 82 კაპ., გადასახდელი 356 მან. 20 კაპ., სულ 8250 მან. 2 კაპ.

ავალოვი, ივანე ზაალის ძე—სახნავი და სამოსახლო ადგილი 151 დესიატინა და 300 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 8,905 მან. 86 კაპ., გადასახდელი 398 მან. 60 კაპ., სულ 9,304 მან. 46 კაპ.

შატბეროვისა, ლიუდმილა ათანასეს ასული—ერთ ეტაჟიანი სახლი ბაღით, სახნავი და საბალახე ადგილები $81\frac{1}{2}$ დესიატინა 1000 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ხაშურში. თავნი ვალი 994 მან. 92 კაპ., გადასახდელი 76 მან. 60 კაპ, სულ 1071 მან. 52 კაპ.

საგინოვი, მიხეილ პაატას ძე—სახნავი მიწა და ტყე 2704 დესიატ. 420 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. ახალ დაბას, ზემო-ხოდაშენს და ახშაანში. თავნი ვალი 13,822 მან. 21 კაპ., გადასახდელი 592 მან. 8 კაპ., სულ 14,414 მან. 29 კაპ.

დოდაევისა, თამარ ალექსანდრეს ასული—სახნავ-სათესი მიწა და ტყე 1020 დესიატ. და 1920 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. ზემო-ხოდაშენთან თავნი ვალი 8,688 მან. 21 კაპ., გადასახდელი 378 მან. 46 კაპ., სულ 9066 მან. 67 კაპ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე—სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, 800 დესიატ., თფ. გუბ. თიონეთის უეზდში, სოფ. გოჩორმოში. თავნი ვალი 4746 მან. 77 კაპ., გადასახდელი 214 მან. 16 კაპ., სულ 4960 მან. 93 კაპ.

კვეზერელისა, ელისაბედ დავითის ასული (მყოფი გედევანოვისა)—სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები 111 დესიატ. 1560 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 988 მან. 86 კაპ., გადასახდელი 58 მან. 9 კაპ., სულ 1,046 მან. 95 კაპ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე—სახნავი და საბალახე ადგილები, 12 დესიატინა 1440 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. თორთიზას. თავნი ვალი 297 მან. 52 კაპ., გადასახდელი 29 მან. 35 კაპ., სულ 326 მან. 87 კაპ.,

თარხან-მოურავოვისა, მარიამ ბიძინას ასული. სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე, 545 დესიატ. 1645 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში სოფ. ცხოველს. თავნი ვალი 6,645 მან. 80 კაპ., გადასახდელი 292 მან. 23 კაპ., სულ 69,38 მან. 3 კაპ.

ამილახვარი, ამირინდო ამირინდოს ძე. სახნავ-სათესი ადგილები, 145 დესიატ. 1756 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი 2,975 მან. 74 კაპ., გადასახდელი 140 მან. 20 კაპ., სულ 3115 მან. 94 კ.

ანდრონიკაშვილი, ზაქარია იესეს ძე. სახნავი, სათიბი, საბალახე ადგილები და წვრილი ტყე, 15,000 დესიატინა. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. ლომბალოსთან. თავნი ვალი 59,514 მან. 87 კაპ., გადასახდელი 3,587 მან. 50 კაპ, სულ 63,102 მან. 37 კაპ.

მაღალაშვილისა, ნინო სარდიონის ასული. ზვარი 6 დესიატ. ტფილისის გუბ. სიღნაღის უეზდში, სოფ. ბაკურციხეს. თავნი ვალი 1,700 მან., გადასახდელი 89 მან. 8 კაპ., სულ 1789 მან. 8 კაპ.

ავალიშვილი [sic: **ავატუნი**], ნაპოლეონ ივანეს ძე. ზვარი, 2 დესიატ. 90 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში, სოფ. ქარდანახში. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 70 მან., სულ 2070 მან.

გაგაშვილი, ნიკოლოზ მიხეილის ძე. ორი ვენახი და სახნავი ადგილები, 14 დესიატ. 2260 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. ერთისთან. თავნი ვალი 1,000 მან., გადასახდელი 59 მან. 40 კაპ., სულ 1059 მან, 40 კაპ.

ვაჩნაძე, ივანე ბადურის ძე. ორი ვენახი, 2 დესიატინა 2021 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში, სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 1,000 მან., გადასახდელი 42 მან. 74 კაპ., სულ 1042 მან. 74 კაპ.

კოშხაძე, მიხეილ გიორგის ძე. ვენახი, 1 დესიატინა. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ზემო-ხანდაკთან. თავნი ვალი 300 მან, გადასახდელი 29 მან. 72 კაპ., სულ 329 მან. 72 კაპ.

ეგოროვი, ივანე ივანეს ძე. ვენახი, 678 და 82 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში, 2 განყოფილების მე-10 უჩასტკაში, წყლის-პირა ქუჩაზედ. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 101 მან. 80 კაპ., სულ 2101 მან. 80 კაპ.

სტეფანოვი, გეურქ პავლეს ძე (ახლა ციციშვილისა). უძრავი ადგილი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისში, 2 განყოფ. მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი 1,200 მანეთი, გადასახდელი 171 მან. 24 კაპ. სულ 1371 მან. 24 კაპ.

ქარუმიძე, ივანე პაატას ძე. სახნავი ადგილები, 34 დესიატინა 1320 ოთხ-კუთხ. საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. თიხთიხას. თავნი ვალი 900 მან. გადასახდელი 126 მან., სულ 1026 მან.

ვაჭრობა, თანახმად წესდების § 19-სა, დაიწყება ზემო მოყვანილის ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება რაც ამ მამულზედ სახელმწიფო და საერო გარდაუხდელი ხარჯი არის. თავნი ვალი ბანკისა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით (ზაკლადნი ლისტებით) იქნეს შემოტანილი მანეთში მანეთი იმათ ნომინალურ ფასისა; შეიძლება აგრეთვე, რომ ეს თავნი ვალი, ბანკის გამგეობის თანხმობით, გადატანილ იქმნეს მყიდველზედ; დანარჩენი გადასახადი რაც არის, ის კი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შემოტანილი.

თუ ვინიცობაა დანიშნულს ვადაზედ, ე. ი. ამ 1879 წლის 15 დეკემბრის არ გაიყიდა ზემო აღნიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 22 ძალით, დანიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ამავე 1879 წლის 29 დეკემბრისათვის.

(3—1)

---

25 მანეთი საჩუქარი

ვინც იპოვნის და წარმოადგენს შემდეგ დაკარგულ ნივთებსა: ერთ წყვილ ოქროს ზაპონკებს, რომელშიაც გაკეთებულია ქალის პორტრეტების მედალიონი, ნიშნის ბეჭედს და პერანგის ზაპონკებს. ყველა ეს ნივთები ჩაწყობილია წითელი ტყავის ყუთში.

მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს სოლოლაკში, პეტრე აბესალომის ძის ბებუთოვისას.

(2—2)

კნ. იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი აუწყებს საზოგადოდ ცნობად, რომ სავაჭრო სახლი წოდებით „**კნიაზ იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი და კ-**“ შედის მოქმედებაში 1-ს ნოემბერს ამა 1879 წლისას.

კანტორა სავაჭრო სახლისა იხსნება ქ. ტფილისს, რუსის ბაზარში, სახლი № 10.

(3—3)

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

ტ ფ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. კეკელიასთან შკოლაში,

ო ზ უ რ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ შ ი: უფ. ჭალაგანიძესთან,

გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: უფ. კ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

ყველა წიგნების მაღაზიებში ტფილისში და ქუთაისში

ისყიდება

თამარ ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა

გადმოკეთებული კ. მესხისაგან

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Ноябрь 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი